# საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია

# 2017-2018 წლის წლიური ანგარიში

# PRIVATE COLLEGES ASSOCIATION OF GEORGIA

# ANNUAL REPORT FOR THE YEAR 2017-2018

# საკპა PCAG

## საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია

## PRIVATE COLLEGES ASSOCIATION OF GEORGIA

### პროფესიული განათლების განვითარებისათვის!

### FOR THE DEVELOPMENT OF VOCATIONAL EDUCATION!

| | |
|---|---|
| განვითარება | ხელს ვუწყობთ პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და კერძო კოლეჯების განვითარებას, პროფესიული განათლების პოლიტიკის განვითარებაში კერძო კოლეჯებისა და სხვა სამეწარმეო სუბიექტების ჩართულობას. |
| კონსულტაცია | ვახორციელებთ კონსულტაციას კერძო კოლეჯების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; |
| კვლევა | ვახორციელებთ განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების კვლევასა და მონიტორინგს; |
| ადვოკატირება | ვიცავთ კერძო კოლეჯების ინტერესებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; |

| | |
|---|---|
| Development | We support popularization and development of private colleges; we facilitate participation of private colleges and other businesses into the development of vocational educational policy.development of private colleges; we facilitate participation of private colleges and other businesses into the development of vocational educational policy. |
| Consultancy | We provide consultancy in issues related to private college's activities. |
| Research | We research and monitor educational process. |
| Advocating | We stand for interests of private colleges nationally and internationally. |

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: თბილისი, 0192, თორნიკე ერისთავის 2.
ტელეფონი: +995 557 58 00 44
E-mail: pcageorgia@yahoo.com
www.ccol.ge

Contact:
Address: 2 Tornike Eristavi Street, 0192, Tbilisi, Georgia
Phone: +995 557 58 00 44
E-mail: pcageorgia@yahoo.com
www.ccol.ge

# ასოციაციის პრეზიდენტის წინასიტყვაობა

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციას 2019 წლის იანვარში ექვსი წელი შეუსრულდა.

წარმოგიდგენთ 2017/18 წლების ანგარიშს, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდის აქტივობების აღწერას, მიღწეულ წარმატებებსა და იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც კვლავ რჩება ორგანიზაცია და ზოგადად პროფესიული განათლება.

ასოციაციის უკანასკნელი ფორუმის შემდგომ, რომელიც გაიმართა 2017 წლის 20 თებერვალს, ორგანიზაციამ მიზნად დაისახა წევრ ორგანიზაციებში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერება სხვადასხვა ტრეინინგ-კურსების მეშვეობით, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება სასწავლო-სამეწარმეო კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესების, დამსაქმებლების პროფესიულ განათლებაში ჩართვის, კოლეჯების პარტნიორი საწარმოების ინსტრუქტორთა მომზადება/გადამზადების მიმართულებებით; გერმანული დუალური განათლების დანერგვის შესაძლებლობების განხილვა საქართველოს რეალური ეკონომიკის პირობებში.

ასოციაციაციამ დასახული მიზნებიდან გამომდინარე 2017 წლის განმავლობაში მრავალი აქტივობა განახორციელა მასწავლებელთა და ადმინისტრაციული კადრების გადამზადების მიმართულებით. განხორციელდა სასწავლებლების ბრენდირების პროცესი. 2017 წლის გაზაფხულზე ჩატარდა მასწავლებელთა და სტუდენტთა კონფერენცია. წევრი კოლეჯები აქტიურად უბამენ მხარს ასოციაციის მიერ წამოწყებულ ინიციატივებს.

უნდა აღინიშნოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობა. პროფესიული განათლების რეფორმირების პროცესში ასოციაციის ინიციატივით არაერთხელ მოეწყო შეხვედრა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა მოდულური პროგრამების შემუშავების, ავრტორიზაციის ახალი სტანდარტების განხილვის, სტუდენტთა ქვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის და სხვა საკითხებზე.

ასოციაციის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ წევრი კოლეჯების ადამიანური რესურსების მაღალკვალიფიციურობიდან გამომდინარე, ისინი არჩეული არიან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტებად, ხოლო ასოციაციის გამგეობის წევრები არაერთხელ იქნენ არჩეული პროფესიული განათლების ავტორიზაციის საბჭოს წევრებად. ასოციაცია ვიცე-პრეზიდენტის, მაია ჩიხლაძის სახით წარმოდგენილია ეროვნულ პროფესიულ საბჭოში.

მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების“ პროექტში კერძო პროვაიდერების ჩართვა, რაც წინგადადგმული ნაბიჯია პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიმართულებით.

ახალი კანონი „პროფესიული განათლების“ შესახებ დიდწილად აწესრიგებს პროფესიულ განათლებაში არსებულ ჩიხებს და გამოწვევებს. გზას უხსნის სასწავლებლებს ურთიერთობები დაამყარონ უცხო ქვეყნის დაწესებულებებთან ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით. თუმცა, ამავე დროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ინტენსიური შეხვედრები კონკურენტული გარემოს გაჯანსაღებასთან მიმართებაში, რაც პროფესიული განათლების განვითარების კუთხით მინისტრის ხედვებს ემთხვევა, დღესაც კვლავ გამოწვევად რჩება.

ასოციაციაციამ ორი წლის განმავლობაში არა მარტო შეინარჩუნა, არამედ თანმიმდევრული და პრინციპული მუშაობით საგანმანათლებლო სივრცეში კვალიფიციური ორგანიზაციის იმიჯი სტაბილურად დაიმკვიდრა.

მადლობა მინდა მოვახსენო იმ უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს სხვადასხვა პროექტებში ასოციაციასთან თანამშრომლობისათვის.

დასასრულს, მადლობა მინდა გადავუხადო გამგეობის წევრებს უანგარო, კვალიფიციური და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებისათვის, წევრი კოლეჯების ადმინისტრაციებსა და ყველა თანამშრომელს საერთო საქმის წარმატების მიღწევის მხარდაჭერისათვის.

ასოციაციის პრეზიდენტი
გიორგი ბერაია

# FOREWORD OFTHE PRESIDENT OF THE ASSOCIATION

Private Colleges Association of Georgia celebrated 6th anniversary from establishment in January 2019

We present the report for the years of 2017/2018 covering the description of the activities of the reporting period, as well as achievements and challenges still facing the organization and the vocational education in general.

After the final forum of the Association held on February 20, 2017, the organization set the goal to strengthen the quality assurance measures in the member organizations through various training courses, also to improve the cooperation with partner organizations in the direction of enhancement of quality of educational-entrepreneurial component, involvement of the employer in the vocational education, training/professional development of the instructors of partner enterprises of the colleges, consideration of opportunities for introduction of Germany's dual education in the context of existing economic conditions of Georgia.

Due to the above goals, the Association carried out various activities in terms of training of teachers and administrative personnel over 2017. In spring 2017, teacher-student conference was held. Member colleges are actively involved in the initiatives taken by the Association.

Cooperation with the National Center for Education Quality Enhancement should be noted. By the initiative of the Association, in the process of education reform, several meetings were organized with the employees of Vocational Education Quality Assurance Department with regard to different relevant issues, such as modular program development, discussion of new authorization standards, methodology for setting of the student quota and other issues.

It worth noting that due to the high skills of the human resources of member colleges, they are elected as authorization/accreditation experts of the vocational education of National Center for Education Quality Enhancement, and the members of the Board of Association were severally elected as the members of Authorization Council of the Vocational Education.

The Vice -President Maia Chikhladze represents the Association in National Vocational Council.

It is important to get involved the private providers in the project "Vocational Skills Development among school students" implemented by the Ministry of Education and Science of Georgia, which is the step forward towards the promotion of vocational orientation and education.

The new law on Vocational Education in most cases regulates the deadlocks and challenges in the vocational education. It opens the way for the educational institutions to establish relations with foreign schools in terms of implementation of joint and exchange programs. However, regular meetings with the Ministry of Education and Science of Georgia for improvement of competitive environment, that coincides with the Minister's opinions as regard to vocational education development, still remains the challenge so far.

During the two-year period, the Association not only maintained but also established the stable image in the educational field by means of consistent and crucial working.

I would like to thank the authorities and non-governmental organizations, as well as the international organizations for cooperation with the Association in different projects.

Finally, I would like to thank the members of the Board for unselfish, skillful and loyal attitude to the work as well as administration personnel and all the employees of member colleges for support in ensuring the success of our work together.

President of Association
Giorgi Beraia

## ასოციაციის გამგეობა / THE MANAGEMENT OF THE ASSOCIATION



გიორგი ბერაია - ასოციაციის პრეზიდენტი

საზოგადოებრივი კოლეჯი გეორგია

Giorgi Beraia

Community College Georgia



მაია ჩიხლაძე - ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

Maia Chikhladze - Vice-President

Community College Panacea




ია ერაძე - ასოცაიაციის ვიცე პრეზიდენტი

საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

Ia Eradze - Vice-President

Business Academy of Georgia - SBA



ინგა მანაშერიძე

ინტერბიზნესის აკადემია

Inga Manasheridze

Interbusiness Academy



მანანა მახარაშვილი

საზოგადოებრივი კოლეჯი - Natali Academy

Manana Makharashvili

Community College - Natali Academy



ნინო გომელაური

მარნეულის კოლეჯი

Nino Gomelauri

College of Marneuli



შორენა ხაჭაპურიძე

საზოგადოებრივი კოლეჯი ფასასკერტელი

Shorena Khachapuridze

Community College Panaskerteli

## მრჩეველთა საბჭო / ADVISORY BOARD



ვასილ კიკნაძე

Vasil Kiknadze



სოფიო გომელაური

Sopio Gomelauri

## ბრენდირებული კოლეჯები / BRANDED COLLEGES

### ხუთვარსკვლავიანი

1. საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
   Business Academy of Georgia - SBA
   www.sba.edu.ge
2. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი - ანრი
   Batumi High Maritime Engineering School - ANRI
   www.mtc-anri.ge
3. მარნეულის კოლეჯი
   College of Marneuli
   www.mcm.edu.ge
4. ინტერბიზნესის აკადემია
   INTERBUSINESS ACADEMY
   www.interbusiness.edu.ge
5. საზოგადოებრივი კოლეჯი - პანაცეა
   Community College - Panacea
   www.panacea.edu.ge
6. საზოგადოებრივი კოლეჯი - ორიენტირი
   Community College - Orientiri
   www.orientiri.edu.ge
7. საზოგადოებრივი კოლეჯი - ფანასკერტელი
   Community College - Panaskerteli
   www.fanaskerteli.edu.ge
8. ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემია
   Academy of Business & Technology
   www.bta.edu.ge
9. საზოგადოებრივი კოლეჯი - Natali Academy
   Community College - Natali Academy
   www.nataliacademy.ge

### ოთხვარსკვლავიანი

10. საზოგადოებრივი კოლეჯი - კავკასიონი
    Community College - Kavkasioni
    www.kavkasioni.edu.ge

## გამგეობის წევრები / THE MEMBERS OF THE MANAGEMENT

1. საზოგადოებრივი კოლეჯი - გეორგია
   Community college - Georgia — www.colgeo.edu.ge
2. საზოგადოებრივი კოლეჯი - პანაცეა
   Community College - Panacea — www.panacea.edu.ge
3. საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
   Business Academy of Georgia - SBA — www.sba.edu.ge
4. ინტერბიზნესის აკადემია
   INTERBUSINESS ACADEMY — www.interbusiness.edu.ge
5. საზოგადოებრივი კოლეჯი - ფანასკერტელი
   Community College - Panaskerteli — www.fanaskerteli.edu.ge
6. მარნეულის კოლეჯი
   College of Marneuli — www.mcm.edu.ge
7. საზოგადოებრივი კოლეჯი - Natali Academy
   Community College - Natali Academy — www.nataliacademy.ge

## წევრი კოლეჯები / THE MEMBERS OF THE ASSOCIATION

8. საზოგადოებრივი კოლეჯი - ამაგი
   Public College - AMAGI — www.amagi.edu.ge
9. კოლეჯი - არსი
   College - ARSI — www.collegearsi.ge
10. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი - ანრი
    Batumi High Maritime Engineering School - ANRI — www.mtc-anri.ge
11. ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი
    Batumi Independent University — www.biu-profcollage.ge
12. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია - BPA
    Batumi Public Academy - BPA — www.bpa.ge
13. ბარაკონი
    Barakoni — www.barakoni.edu.ge
14. ბათუმის სამედიცინო აკადემია
    Batumi Medicine Academy — www.bmpc.ge
15. ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემია
    Academy of Business & Technology — www.bta.edu.ge
16. საზოგადოებრივი კოლეჯი - ელიტი
    Community College - Eliti — www.cceliti.ge
17. საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი - ეკვატორი
    Maritime Educational Training Centre - Ekvatori — www.equator.ge
18. საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია
    Community College Zugdidi Academy — www.akademiazug.ge
19. „ილია“ - ილია ჭავჭავაძის სახელობის
    ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება
    “Ilia” - Ilia Chavchavadze Sagarajo Education Institution — www.iliaedu.ge
20. საზოგადოებრივი კოლეჯი - კავკასიონი
    Community College - Kavkasioni — www.kavkasioni.edu.ge
21. საზოგადოებრივი კოლეჯი - მომავალი
    Community College - Momavali — www.college-momavali.ge

22. კოლეჯი მესამე სამედიცინო
    Third Medical College — www.medicalschool3.edu.ge
23. მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი “იმედი”
    Multiprofile Community College “Imedi“ — www.imediprof.edu.ge
24. საზოგადოებრივი კოლეჯი - ორიენტირი
    Community College - Orientiri — www.orientiri.edu.ge
25. საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი
    Community College Tbilisi Medical School N1 — www.medicalschool.ge
26. საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი
    Georgian Patriarchate Community College of Decorative Gardening — www.dmsk.ge
27. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი
    Holly Queen Tamar Boarding School of Georgian Patriarchate — www.mefetamari.ge
28. სიო
    Sio — www.sio.ge
29. ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი
    Mercy Centre of Transfiguration Nunnery — www.mercycenter.ge/ge
30. ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯი
    Georgian-American Nursing College — www.ganc.ge
31. ქუთაისის სამედიცინო სკოლა
    Kutaisi Medical School — www.kms.edu.ge
32. ყოვლადწმინდა სამების ქართული აკადემია
    The Holy Trinity Georgian Academy — www.libertyprof.ge
33. შავი ზღვის ბიზნეს აკადემია
    Black Sea Business Academy — www.bsba.ge
34. ცხუმ-ეგრისი
    Tskhum-Egrisi — www.ckhum.edu.ge
35. წმ. დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა კოლეჯი
    Saint Dimiti Kipiani Multiprofile School-College — www.dimkipiani.edu.ge

## საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიზანია

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და კერძო კოლეჯების განვითარების ხელშეწყობა.

ასოციაციის წევრთა ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებების და ინტერესების დაცვა.

პროფესიული განათლების სისტემის განვითარების პოლიტიკაში კერძო კოლეჯებისა და სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტების მონაწილეობის მიღება.

სამართლებრივი სამეწარმეო კულტურისა და მართლშეგნების დამკვიდრება საზოგადოებაში.

სხვა ქვეყნების შესაბამის გაერთიანებებთან, აგრეთვე საერთაშორისო და ევროპის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ასოციაციის წევრთა საერთო ინტერესების დაცვა, შესაბამისი საკანონმდებლო, აღმასრულებელ და მუნიციპალურ სტრუქტურებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

## GOALS OF THE ASSOCIATION

Popularization of vocational education and fostering the development of private colleges;

Protection of Association’s interests, including economic and legal rights;

Participation of private colleges and associated businesses in the policy development of vocational educational system;

Advancement of business culture and legal awareness in the society;

Cooperation with international organizations and relevant business entities;

Protection of common interests of the members of the Association at legislative, executive and municipal levels.

ურთიერთობა ორგანიზაციებთან და პროექტებთან

## საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ურთიერთობა წინა წლებთან შედარებით გაცილებით ინტენსიური და კონსტრუქციული გახდა. ორი წლის მანძილზე ასოციაციის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა უშუალოდ შეხვედროდნენ განათლების სისტემის პირველ პირებს და ემსჯელათ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა გადაჭრაც ხელს შეუწყობდა ზოგადად, პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესებას, ასევე პროფესიული განათლების კერძო პროვაიდერების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრას.

არაკონკურენტული გარემო, პროფესიული განათლების დაფინანსების არასამართლიანი მოდელი, საგანმანათლებლო ჩიხები, სწავლის პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში პროფესიულ სტუდენტთა გაწვევა, უცხო ქვეყნების არაავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების ე.წ. "წარმომადგენლობების", ფუნქციონირება ქვეყანაში, „პროფესიული განათლების შესახებ" ახალი კანონპროექტის განხილვა - ეს გახლდათ საკითხები, რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან მოლაპარაკებების, თანამშრომლობისა და ცალკეულ შემთხვევაში უკმაყოფილებისა და ვნებათაღელვის საგანი გახდა.

არასამართლიანი დაფინანსების მოდელი ასოციაციის 45-მა კერძო პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, 2017 წლის 9 ივნისს, სამინისტროსთან აქციით გააპროტესტა. აქციის მოთხოვნა იყო - შეცვლილიყო პროფესიული სტუდენტის დაფინანსების დისკრიმინაციული წესი.



2017-2018 წლების მანძილზე აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად ასოციაციის წარმომადგენლებს მოუწიათ არაერთი შეხვედრა განათლების მინისტრებთან: ალექსანდრე ჯეჯელავასთან, მიხეილ ჩხენკელთან და მიხეილ ბატიაშვილთან. კერძო კოლეჯების სტუდენტთა დაფინანსების საკითხის

The relationship with organizations and projects

## THE MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

The relationship with the Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia has become more intensive and constructive compared to the previous years. During two years, the representatives of the Association were able to directly meet with the leaders of the education system and discuss the important issues the solution of which would facilitate the improvement of the vocational education system, in general, and the settlement of the problems faced by private providers of vocational education.

Non-competitive environment, an unfair model of financing the vocational education, educational deadlocks, recruitment of vocational students to the military compulsory service during the course of study, the functioning of the so-called "Representations" of foreign unauthorized universities in the country, discussion on the new draft law on "Vocational Education" – these are the issues that have become the subject of negotiations and cooperation with the Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia, and, in certain cases, of dissatisfaction and turbulence.




On June 9, 2017, 45 private vocational education institutions of the Association protested against the unlawful financing model at the Ministry building. The demand of the rally was to make amendments to the discriminatory rule of funding for vocational students.

In 2017-2018, in order to address these problems, the Association representatives had to hold a number of meetings with the Education Ministers: Aleksandre Jejelava, Mikheil Chkhenkeli and Mikheil Batiashvili. All of the Ministers agreed with us on the actuality

აქტუალობაზე ყველა მინისტრი გვეთანხმებოდა, მაგრამ რეალური გადაჭრის გზების ძიებაზე საუბარი მხოლოდ 2018 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ასოციაციის გამგეობის წევრების შეხვედრა მინისტრ მიხეილ ბატიაშვილთან. შეხვედრის მიზანი გახლდათ მინისტრის ხედვისა და სამომავლო პერსპექტივების გაცნობა ზოგადად პროფესიული განათლებისა და განსაკუთრებით, პროფესიული განათლების კერძო პროვაიდერების მიმართ. მინისტრის მხრიდან საკმაოდ პრინციპული განაცხადი გაკეთდა სისტემაში ისეთი დაფინანსების მოდელის შემუშავების შესახებ, რომელიც შეცვლიდა არაკონკურენტულ გარემოს. ამასთან, დაფინანსების მოდელის განხილვა მოხდებოდა კერძო პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლების ჩართულობით. ასევე პრინციპული აღმოჩნდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში სტუდენტთა გაწვევის შესახებ საკითხი, რომელზეც ბ-მა მიხეილმა განაცხადა, რომ ეს საკითხი მთავრობასთან ერთად კომპლექსურად უნდა დარეგულირებულიყო. მისივე თქმით, 2019 წლიდან პროფესიულ განათლების სფეროში სამინისტროს მიერ განსახორციელებელ სხვადასხვა აქტივობებსა და პროექტებში, კერძო საგანმანათლებლო კოლეჯები საჯარო კოლეჯებთან ერთად თანაბრად იქნებიან წარმოდგენილნი.

2017-2018 წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა კომუნიკაცია და ინტენსიური შეხვედრები პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთან, ქ-6 ირინა წეროძესთან და დეპარტამენტის სამმართველოების უფროსებთან. შეხვედრების მიზანი იყო - საქართველოში მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანაბარი კონკურენტული პირობების შექმნა, პროფესიული კოლეჯების დაფინანსების არსებული წესის გადახედვა და მის ეფექტურობაზე მსჯელობა, „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონპროექტისა და ასოციაციის წევრი კოლეჯების მიერ პროფესიული განათლების საერთო სარეგისტრაციო ბაზის წარმოების პროცესის განხილვა და სხვა.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ასოციაციის პრეზიდენტსა და გამგეობის წევრებს არაერთი შეხვედრა ჰქონდათ განათლების მინისტრის მოადგილეებთან, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და ეკონომიკური დეპარტამენტების უფროსებთან.

2017-2018 წლების განმავლობაში ასოციაციის წევრი კოლეჯები აქტიურად ჩაერთვნენ სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და პროფორიენტაციის მიმართულებით განხორციელებულ წარმატებულ პროექტში - „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა“. პროექტში მონაწილეობა მიიღო თბილისისა და რეგიონების 10-მა კოლეჯმა, რომლებმაც საქართველოს მასშტაბით 52 საჯარო სკოლაში განახორციელეს 13 პროგრამა. პროექტი მომავალშიც გრძელდება და მასში ჩართვის სურვილი უფრო მეტმა პროფესიულმა კოლეჯმა გამოთქვა .

ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია ,,პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის

of the issue of financing private college students, but discussions on searching for real solutions began just from the second half of 2018.

The meeting of the members of the Association Board with the Minister of Education Mikheil Batiashvili should be especially distinguished. The aim of the meeting was to introduce the Minister's vision and future perspectives to private providers of vocational education, in general, and especially, of vocational education. The Minister made quite a scrupulous statement about the elaboration of such a financing model in the system that would change the non-competitive environment. In addition, the financing model would have been discussed with the participation of private vocational colleges. The issue of student recruitment to military compulsory service turned out to be principal, as well. As Mr. Mikheil Batiashvili said, this issue should have been multilaterally settled together with the government. According to him, since 2019 along with the public colleges, private educational colleges will be equally represented to various activities and projects implemented by the Ministry in the field of vocational education.

In 2017-2018, communication and intensive meetings with the Department of Vocational Education Development, Ms Irina Tserodze and the Heads of Administrations of the Department were especially strengthened. The goal of the meetings was the creation of equal competitive conditions among the Georgia-based vocational education institutions, review of the current rule of funding of vocational colleges and consideration of its effectiveness, discussion on the draft law on "Vocational Education" and the process of producing a common registration base of vocational education by the Association member colleges and more.

Regarding the above-mentioned issues, the President of the Association and the Board members held a great number of meetings with the Deputy Ministers of Education and the Heads of the Department of Legal Provision and Departments of Economy.

In 2017-2018, the Association member colleges were actively involved in the successful project - "Vocational Skills' Development among School Students" implemented by the Ministry in the direction of promotion of vocational education and vocational orientation. 10 colleges of Tbilisi and the regions, which implemented 13 programs in 52 public schools throughout Georgia, participated in the project. The project will still continue; more vocational colleges have expressed desire to join it.

We consider the enactment of the Law on Vocational Education in September, 2018 is the most important

ამოქმედება 2018 წლის სექტემბერში. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან, ჯერ კიდევ ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის კონცეფციაზე მუშაობის პროცესში, როგორც დაინტერესებული მხარე, აქტიურად იყო ჩართული „საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია“. ასოციაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ კანონპროექტის ირგვლივ გამართულ თითქმის ყველა შეხვედრასა და განხილვას.

ჩვენ ვთანხმდებით, რომ  კანონი რეალურად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობასა და მორგებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროფესიული განათლების სრულ და თანაბარ ხელმისაწვდომობას; გამოწვევებთან, შრომის ბაზრის არსებული და სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის, სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას; საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან. დოკუმენტს რეალურად შეუძლია პროფესიული განათლება გახადოს პოპულარული და დააინტერესოს საქართველოს მოსახლეობა.

აღსანიშნავია, რომ  განათლების სამინისტრომ კანონპროექტის განხილვისას გაითვალისწინა ასოციაციის გარკვეული შენიშვნები და ხარვეზები, რაც აისახა კანონში.

სამწუხაროა, რომ თითქმის წელიწადზე მეტია, არ ჩატარებულა სოციალური პარტნიორობის პრინციპებზე დაფუძნებული სათათბირო ორგანოს - პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომები. საბჭოს, რომელსაც თავისი გადაწყვეტილებებით არაერთხელ გამოუთქვამს მხარდაჭერა პროფესიული განათლების კერძო პროვაიდერების მიმართ.

2017-2018 წლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან კერძო საგანმანათლებლო პროფესიული დაწესებულებების მიმართ პოზიცია დადებითად შეიცვალა. კერძო კოლეჯები განიხილებიან როგორც სისტემის ნაწილი, რასაც ადასტურებს მათი წარმომადგენლების ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ თითქმის ყველა აქტივობაში. მიუხედავად ამისა, კერძო პროვაიდერებისთვის მთავარი, პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხი - საქართველოში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანაბარი კონკურენტული პირობების შექმნა, პროფესიული კოლეჯების დაფინანსების არსებული წესის შეცვლა, ასოციაციის შექმნიდან ექვსი წლის შემდეგაც არ გადაწყვეტილა.

## საქართველოს პარლამენტი

,,პროფესიული განათლების შესახებ“ კანონპროექტის განხილვასა და დისკუსიას მრავალი შეხვედრა დაეთმო საქართველოს პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტში.



event. It is noteworthy that since 2014, the Association of Private Colleges of Georgia, as an interested party, had been actively involved in the process of working on the Concept of the Law of Georgia on Vocational Education. The representatives of the Association attended almost every meeting and discussion held around the draft law.

We have come to the conclusion that the draft law actually provides the flexibility of the vocational education system and its adaptation to the requirements and challenges of the labor market and the united European educational space of the Georgian vocational education system; full and equal access to vocational education and satisfaction of the current and future requirements of the labor market; promotion of learning process, social inclusion and personal and professional development of an individual throughout the life. The document can actually make vocational education popular and draw the Georgian population's attention to this.

It should be mentioned that while reviewing the draft law the Ministry of Education of Georgia considered certain remarks and shortcomings of the Association that were reflected in the law.

It is unfortunate that the National Council of Vocational Education, which has been based on the principles of social partnership, has not been scheduled for more than a year, the Council which has repeatedly expressed its support to private providers of vocational education.

In 2017-2018, the Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia changed its position towards private vocational education institutions in a positive way. Private colleges are considered as part of the system, which is confirmed by the involvement of their representatives in almost all activities carried out by the Ministry. Nevertheless, the main, principally important issue for private providers – the establishment of equal competitive conditions among the Georgia-based vocational education institutions and change of the existing rule for financing vocational

ქ-ნ მარიამ ჯაშის ინიციატივით საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წარმომადგენლები ყოველთვის იყვნენ წარმოდგენილი კომიტეტის სხდომებზე და აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას განხილვის პროცესში. შესაბამისად, რამოდენიმე პრინციპული ცვლილება და ჩანაწერი აისახა „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონში, რომელიც ეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, ქ-ნი მარიამ ჯაში ყველა მნიშვნელოვან საქმეში გვიცხადებს მხარდაჭერას და მადლობას ვუხდით მას საჯარო გამოსვლებისთვის, რომელიც ეხება პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის გაჯანსაღებას, არაკონკურენტული გარემოს აღმოფხვრასა და სამართლიანი დაფინანსების მოდელის შემუშავებას.



საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის გამგეობის ინიციატივით გაიმართა არაერთი შეხვედრა საქართველოს პარლამენტის ფრაქცია “ქართული ოცნება სოციალ-დემოკრატების” თავმჯდომარესთან, ბ-ნ გია ჟორჟოლიანთან. ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა ინიცირება, შევიდეს ცვლილება ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლში, სადაც, სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებასთან დაკავშირებული პუნქტი არ ვრცელდება პროფესიულ სტუდენტებზე.

ცვლილების ძირითად არსს წარმოადგენს ის, რომ წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ არის საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების, ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობით დადგენლი წესით აღიარებული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, რომელსაც არ აქვს შეჩერებული პროფესიული სტუდენტის სტატუსი – სწავლის დამთავრებამდე, მხოლოდ ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ასოციაცია მადლობას უხდის ბ-ნ გია ჟორჟოლიანს პროფესიული განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრის მხარდაჭერისთვის.

## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

საანგარიშო პერიოდში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მუშაობა ორი მიმართულებით წარიმართა.

ერთი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ხოლო მეორე- პროფესიული

colleges – has not been still resolved after six years from the foundation of the Association.

## THE PARLIAMENT OF GEORGIA

A number of meetings were dedicated to discussions on the draft law on “Vocational Education” at the Committee of Education and Culture of the Parliament of Georgia. By the initiative of Ms. Mariam Jashi, the members of the Association of Private Colleges of Georgia have always been represented to the sittings of the Committee and have been actively involved in the discussion process. Consequently, some principal amendments and entries have been reflected in the Law on Vocational Education, which concerns the Legal Entity of Public Law - vocational educational institutions.

Ms. Mariam Jashi, the Chair of the Committee on Education, Science, Culture and Sport of the Parliament of Georgia supports us in all positive activities and we express our gratitude towards her for delivering the public speeches about the improvement of the vocational education area, the elimination of the non-competitive environment and the elaboration of a fair financing model.

By the initiative of the Board of the Association of Private Colleges of Georgia, numerous meetings were held with the Chairman of the “Georgian Dream - Social-Democrats’ Faction” of the Georgian Parliament, Mr. Gia Zhorzholiani. Through joint efforts the initiative was elaborated regarding the amendment that is to be made to Article 30 of the Law of Georgia on Military Duty and Military Service, where the paragraph related to postponement of military recruitment does not apply to vocational students.

The essence of the amendment is that the military recruitment will be postponed for a conscript, whether he is a vocational student of a Georgian educational institution or an educational institution recognized in accordance with the rule established by the foreign legislation, while the status of a vocational student of a conscript must not be suspended until graduation within the framework of only one vocational education program or a short-term educational program.

The Association appreciates Mr. Gia Zhorzholiani for supporting it in the settlement of one of the most important issues of vocational education.

## NATIONAL CENTER FOR EDUCATION QUALITY ENHANCEMENT

Working with the National Center for Education Quality Enhancement during the reporting period was carried out in two directions.

საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების განვითარება-შემუშავების საკითხებს ეხებოდა.ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების და პროცედურების პროექტის შემუშავების პროცესში. მიუხადავად ცალკეული ტექნიკური სირთულეებისა, რომელთა წინაშეც დადგებიან კერძო კოლეჯები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროფესიული განათლების ხარისხს და უფრო ეფექტურს გახდის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას.




კოლეჯების დიდი ნაწილი გეგმიურ და არაგეგმიურ მონიტორინგს დაექვემდებარა. ხარვეზების იდენტიფიცირებამ და საბჭოს მიერ გამოსწორების ვადის განსაზრვრამ ხელი შეუწყო არსებულ სტანდარტებთან მათ შესაბამისობაში მოყვანას.

კერძო კოლეჯები სრულფასოვნად ჩაერთნენ მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ქვეპროგრამის აქტივობებში, ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში, ასევე ვერიფიკაციის პილოტირების პროცესში, რამაც სხვაგვარად დაგვანახა სტუდენტთა შეფასების მიდგომები.

ცენტრის ძალისხმევით და კონსულტირებით კერძო კოლეჯები ჩაერთნენ და აწარმოებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს, თუმცა არსებობს სისტემის ტექნიკური ხარვეზები, რაზეც ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა.

2017 წლიდან კერძო კოლეჯების წარმომადგენლები აღარ იქნენ შეყვანილნი ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობაში, თუმცა ასოციაცია გაგებით მოეკიდა მიდგომას, რომ საბჭოში არც ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი არ იქნა შეყვანილი, რასაც ზოგადად მივესალმებით.

რთულად წარიმართა მოდულური პროგრამების ოპტიმიზაციის და დანერგვის პროცესი. 2015 წლიდან ახლად დანერგილი მოდულური პროგრამები ისე გაუქმდა, რომ მათი შედეგები არავის შეუფასებია. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა იმ კოლეჯებს, რომლებმაც თავიდანვე გამოუცხადეს რეფორმას მხარდაჭერა და მოდულურ პროგრამებზე გადაერთნენ. დაიკარგა შეძენილ აღჭურვილობაზე და პროგრამების დამატებაზე გადახდილი საფასური. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაუჩნდათ არასტაბილურობის განცდა. რაც მთავარია, ცენტრიდან ვერ მივიღეთ საკმარისი და დამაჯერებელი არგუმენტები, თუ რატომ უნდა

One direction referred to the matters of vocational education quality assurance and the second one - to the development of framework documents of the vocational educational programs.

The association actively participated in the process of development of the project related to the updated authorization standards and procedures of the vocational educational institutions. Irrespective of the certain technical difficulties facing the private colleges, the quality of vocational education will be significantly improved and the quality assurance system will become more efficient.

Most part of the colleges was subject to intended and unintended monitoring. Identification of the defects and determination of the correction period by the Council contributed to bring them into compliance with the applicable standards.

